

გაზეთი ბეჭედი „ვერსი“ ერთი

ვერსი

ფანი 50 თეთრი




ორშაბათი

ოთხშაბათი

პარასკევი

№86 (981) 17 - 18 სექტემბერი, 2014 წელი



რაცომ დაანესა შსს-მ ჯარისა ქუჩაში აღკვეთილი სასმელის მიღებაზე და როგორის მსოფლიო სტატისტიკას

33.6

სქამა, რომლითაც ვიცა-საიკარი პრეზიდენტსა და ნაციონალებთან ერთად აჭარას ხელში ჩაიგდებს



რა სია გადასცა დუმბაძემ სააკაშვილის უშიშროებას?!

33.3



„ვერსი“ დაპირდაბა მათ, ვინც ქვეყანაში არაულობის მომხრეა“

33.4

SOS ზვარკას მიწარაღური წყლის საბაღოს განადგურება ემუქრება!



33.5

შპს „ბვარე“ საქართველოს რეზინიგბასა და გარემოს დაცვის სამინისტროს სასამართლოში უჩივლებს?

სამეცნიერო ნიგნების დაფუძნები

სტუდენტები მთარგმნელობითი საქმიანობისთვის თანხების გამოყოფას მოითხოვენ

33.8



„ვირუსი“ და „სპარო“ ერთობლივი

გრანდიოზული აქცია დაიწყო!

33.7

„შენი მეგობარი გააკრიბებს. აბა, ახლა ახსენი, ვინ არის მეჭობრიბა და მასქერალი, ბიჭო!“

როგორ გადაარჩინა პაციმარი №0578 თენგო გურჩიანმა



33.8

კაცობრივი დღიური

დედაქალაქის საკრებულომ თბილისის 2015 წლის ბიუჯეტი დაამტკიცა



თბილისის 2015 წლის ბიუჯეტი, რამდენიმე საათიანი განხილვის შემდეგ, დედაქალაქის საკრებულომ დაამტკიცა. ჯაბა სამუშიას განმარტებით, არსებული სოციალური პაკეტის დაფინანსება გაიზარდა. მან „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო დაპირებებზეც ისაუბრა და მოსახლეობას ყველა პროექტის შესრულებას დაჰრწმუნა. მათ შორის, დაგეგმილია ბაგა-ბაღების მშენებლობაც. ჯაბა სამუშიას განმარტებით, სამი ბაღის მშენებლობა უკვე დაიწყო, ხუთი პროექტი კი შესათანხმებლად ექსპერტიზაზე და კეთილმოწყობის სამსახურშია გადაგზავნილი: „ნაციონალურმა მოძრაობამ საკმაოდ მძიმე მემკვიდრეობა დაგვიტოვა. ათ მილიონზე მეტია დახარჯული ავარიული სახლების სადარბაზოების შეკეთებაზე... ეს თანხა ახლა თბილისის ბიუჯეტში რომ იყოს, მერნმუნეთ, სოციალური კუთხით მიმართული ყველა პროექტი ამუშავდებოდა. სამწუხაროდ, გაძვალტყავებული ბიუჯეტი დაგვხვდა და დღეს იძულებული ვართ, რაიონის გამგეობებს 5 600 000 ლარი დავუმატოთ, რათა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მუხლით სამუშაოები არ შეჩერდეს. ასევე, პროექტის გასაგრძელებლად რვა მილიონ ლარს სოციალური დახმარებებისთვის ვამატებთ“. ჯაბა სამუშიამ ისიც დასძინა, რომ ნაციონალურმა მოძრაობამ ფული წინასაარჩევნოდ გამოიყენა. მისივე თქმით, საკრებულო და დედაქალაქის მთავრობა ორ მნიშვნელოვან პროექტს იწყებს, რაც მრავალწლიანი ოჯახების მხარდაჭერასა და სოციალურ დახმარებას ითვალისწინებს. რაც შეეხება ნაციონალურ მოძრაობას, ყოფილმა სახელისუფლო პარტიამ თბილისის ბიუჯეტში შესატან ცვლილებებს ბოიკოტი თავიდანვე გამოუცხადა. მათი განცხადებით, თბილისის საკრებულოში „ქართულმა ოცნებამ“ მხარი დაუჭირა 2003 წლის შემდეგ საქართველოში შედგენილ ყველაზე ცუდ ბიუჯეტს. ნაციონალურ

მოძრაობაში აცხადებენ, რომ აღნიშნული ფინანსური დოკუმენტი მოსახლეობისათვის დაპირებების შესრულების ნაცვლად, თბილისის ახალი მთავრობის უუნარობას ასახავს, რადგან ბიუჯეტში ახალი პროექტებისა თუ პროგრამების დაფინანსება გათვალისწინებული არ არის. პირიქით, უკვე დამტკიცებულ მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურულ თუ სოციალურ პროექტებს აჩერებს. ნაციონალური მოძრაობის მიერ გავრცელებულ საგანგებო განცხადებაში ნათქვამია: „ნელს აღარ დაიწყება ახალი საბავშვო ბაღების, 2 ახალი მედიათეკისა და მრავალსართულიანი ავტოპარკინგების მშენებლობა. გაუქმდა უკვე ჩატარებული სამშენებლო ტენდერი და აღარ გაშვდება 32 ავარიული საცხოვრებელი სახლი; კოორპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულებისთვის კომპენსაციის გაცემა ან დასამთავრებელი შენობების მშენებლობა ვერ მოხერხდება. ამასთან, არ აშენდება გმირთა მოედნიდან ლაგუნა-ვერეს მონაკვეთზე და ვაშლიჯვრიდან დიღმის მიმართულებით ხიდები და არც კომუნალური ვაუჩერის ოდენობა გაიზარდება. არადა მათი წინასაარჩევნო დაპირება იყო, რომ თბილისში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ოჯახები კომუნალური ვაუჩერებით სარგებლობის პროგრამის ფარგლებში ისარგებლებენ გაორმაგებული შეღავათებით...“ ნაციონალურმა მოძრაობამ დედაქალაქის მთავრობას თავისი წინადადებებიც შესთავაზა, მათ შორის, მუნიციპალური ტრანსპორტით სარგებლობისას არსებული შეღავათების სისტემის განვრცობა, მზის ენერჯისა და გაზომომარაგების ახალი სისტემის გამოყენებით იაფი ცხელი წყლითა და გათბობით მოსახლეობის უზრუნველყოფისთვის პროექტის ამოქმედება, თუნდაც თანადაფინანსების პროგრამებში და სხვა.

რუსუდან შელია

ვერსიანიუსი

ირაკლი ღარიბაშვილი ოფიციალური ვიზიტით არაბთა გაერთიანებულ საამიროებში



საქართველოს პრემიერ-მინისტრმა არაბთა გაერთიანებულ საამიროებში ოფიციალური ვიზიტი პრემიერ-მინისტრის მოადგილე შეიხ მანსურ ბინ ზაიედ ალ ნაჰიანთან შეხვედრით დაიწყო. შეიხმა ღარიბაშვილს სტუმრობისთვის მადლობა გადაუხადა და იმედს გამოთქვა, რომ ეს ვიზიტი საქართველოსა და არაბთა გაერთიანებულ საამიროებს შორის ურთიერთობის კიდევ უფრო გაღრმავების საწინდარი იქნება.

17 სექტემბერს საქართველოს მთავრობის მეთაური შეხვედრებს გამართავს აბუ-დაბის სავაჭრო-სამრეწველო პალატის თავმჯდომარე მოჰამედ თანი ალ რემეითისთან, შეიხ ჰამედ ბინ ზაიედ ალ ნაჰიანთან, აბუ-დაბის ტახტის მემკვიდრის სამეფო კარისა და აბუ-დაბის საინვესტიციო ჯგუფის თავმჯდომარესთან.

აბუ-დაბიდან ირაკლი ღარიბაშვილი დუბაიში გაემგზავრება, სადაც დაგეგმილია შეხვედრა არაბთა გაერთიანებული საამიროების პრემიერ-მინისტრთან და დუბაის მმართველთა შეიხ მოჰამედ ბინ რაშიდ ალ მაქტუმთან. ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში პრემიერ-მინისტრი ასევე ეწვევა ქალაქ რას ალ ხაიმას, სადაც საქართველოს დელეგაციას შეიხ საუდ ბინ საქრ ალ ქასიმი უმასპინძლებს.

საქართველოს დელეგაციაში, რომელსაც პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ხელმძღვანელობს, შედიან საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი, ვიცე-პრემიერი გიორგი კვირიკაშვილი, საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე და თანაინვესტირების ფონდის აღმასრულებელი დირექტორი გიორგი ბაჩიაშვილი. ამ უკანასკნელის ინფორმაციით, ახლო მომავალში საქართველოს არაბთა გაერთიანებული საამიროების დელეგაცია ეწვევა, რომლის შემადგენლობაშიც ბიზნესისა და სხვადასხვა ფონდის წარმომადგენლები შევლენ და კონკრეტული ბიზნესპროექტების არსებითი განხილვა მოხდება.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ვიზიტს წარმატებულს უწოდებს ეკონომიკის მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი. მისი განცხადებით, არაბთა გაერთიანებულ საამიროებს აქვს უდიდესი გამოცდილება ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით და ქართული დელეგაცია არაბ ინვესტორებს ამ მიმართულებით საქართველოს პოტენციალს გააცნობს.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მაია ფანჯიკიძის შეფასებით კი, ინტერესი საქართველოს მიმართ უდიდესია და ეს ვიზიტი ხელს შეუწყობს საქართველოში ინვესტიციების მოზიდვას.

„ვერსიანიუსი“



პრაზიკონმა საქართველოში რომის პაპი მოიპატივა

საქართველოს პრეზიდენტი ვატიკანის საგარეო საქმეთა მინისტრს, არქივისკოპოსს დომინიკ მამბერტის შეხვდა. საუბრისას ორმხრივი თანამშრომლობის აქტიურობის საკითხები განიხილეს და ყურადღება გატანილია საქართველოს შორის ურთიერთობის გაღრმავების მნიშვნელობის თაობაზე გაამახვილეს.

გიორგი მარგველაშვილმა ვატიკანის საგარეო საქმეთა მინისტრს მადლობა გადაუხადა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერისა და ოკუპირებული ტერიტორიების არალიბრების პოლიტიკისთვის. მხარეებმა ასევე განიხილეს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ქრისტიანული ძეგლების საკითხი. ვატიკანის საგარეო საქმეთა მინისტრმა აღნიშნა, რომ ვატიკანი დიდად აფასებს საქართველოსთან მეგობრულ ურთიერთობას და კვლავაც განაგრძობს მის მხარდაჭერას.

შეხვედრის დასასრულს, გიორგი მარგველაშვილმა საქართველოში რომის პაპი ფრანსისკო პირველი მოიპატივა.

„პირველი“



ავღანეთიდან სამხედრო მოსამსახურეები დაბრუნდნენ

სპეციალური ოპერაციების ძალების სამთო-სადაზვერვო ბატალიონის პირველი ნაკადი ავღანეთიდან სამშობლოში დაბრუნდა.

149 სამხედრო მოსამსახურეს სპეციალური ოპერაციების ძალების მეთაური, ვიცე-პოკოვნიკი დიმიტრი კიკნაძე და საქართველოში აშშ-ს სამხედრო ატაშე, პოლკოვნიკი მეთეო დიმიკი ალექსევევის სამხედრო აეროდრომზე დახვდნენ. მათ ქართველ სამხედროებს სამშობლოში მშვიდობით დაბრუნება მიულოცეს და შ-ის მისიის წარმატებით შესრულებისთვის მადლობა გადაუხადა.

სპეციალური ოპერაციების ძალების სამთო-სადაზვერვო ბატალიონი 6 თვის განმავლობაში ბაზა ყანდაღარის საავიაციო ბაზაზე მსახურობდა. ავღანეთში ქართველი სამხედროები ამერიკული კონტინგენტის შემადგენლობაში მონაწილეობდნენ. ისინი კოალიციურ ძალებთან ერთად, სრული სპექტრის ოპერაციებს ახორციელებდნენ.

„პირველი“

საქართველოს მთავრობის დელეგაცია მაღალი დონის მინისტრიალში მიიღეს მონაწილეობას

მინისტრიალი გაერო-ს ეგიდით შენევაში გაიმართება. მისი თემაა „2015 წლის შემდგომი მსოფლიოს მდგრადი განვითარების დღის წესრიგის შესრულების მონიტორინგის და ანგარიშვალდებულების მექანიზმები“.

საქართველოს დელეგაციის შემადგენლობაში არიან: მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე ნინო კობახიძე, გარემოს დაცვის მინისტრის მოადგილე მაია ბითაძე, ეკონომიკის სამინისტროს პოლიტიკის ანალიზის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ლალი ლოლობერიძე და დონორების კოორდინაციის სამმართველოს ხელმძღვანელი თამარ რაზმაძე.

მდგრადი განვითარების ახალი დღის წესრიგი, რომლის შემუშავებაც გაერო-ს წევრი სახელმწიფოები მუშაობენ, 2015 წლის სექტემბრიდან ამოქმედდება. 2000 წელს ათასწლეულის დეკლარაციით 191-მა ქვეყანამ, მათ შორის საქართველომ, მიიღო ათასწლეულის განვითარების მგლობალური მიზანი. დეკლარაციის ვადა მომავალ წელს იწურება, ხოლო მდგრადი განვითარების მიზნები გახდება ახალი გზამკვლევი საერთაშორისო საზოგადოების წევრი ყველა ქვეყნისთვის და მათ შორის საქართველოსთვის.

„პირველი“

მეჩანიზმი, როგორც „ოსნაბა“ „ოპოზიციონერ“

მარგველაშვილს გადააყენებს



ამხედენ თუ არა პრეზიდენს სისხლის სამართლის დანაშაუდსა და კონსტიტუციის დარღვევაში

ინტერვიუ კომპანიამ
599-95-33-16

საქართველოს არჩეული პრეზიდენტი აცხადებს, რომ კლიმატის ცვლილებებთან დაკავშირებულ გავრო-ს რიგით სამიტზე მისი დასწრება მიზანმიმართული და სერიოზული შრომის შედეგად ჩაიშალა. მარგველაშვილს „ჩამშლელთა“ ვინაობა არ დაუკონკრეტებია, მაგრამ ყველა ხვდება, რომ „ქვა მთავრობის ბოსტანში ისროლა“. ისე, პრეზიდენტისა და პრემიერის დავა არასახლია — ყველაფერი ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერის დროს დაინყო. სხვათა შორის, შარშან, ზემოხსენებულ სამიტს საგარეო საქმეთა მინისტრი ესწრებოდა, წელს კი გავრო-ში, ვთქვათ, გარემოს დაცვის მინისტრი რომ გაგვეზავნა, ალბათ, არაფერი დამავდებოდა...

ასეა თუ ისე, კონფლიქტი სახეზეა, რომელიც შესაძლოა, მოულოდნელი შედეგით დასრულდეს, თუმცა იქამდე პრეზიდენტი ამ კონფლიქტს უწყებრივ დაპირისპირებას უწოდებს, საპარლამენტო უმრავლესობის წევრები — სიჯიუტეს, ყოფილი პრემიერი და მარგველაშვილის „პრეზიდენტად მომყვანი“ ბიძინა ივანიშვილი კი რამდენიმეთვიან კინკლაობას ასე აჯამებს: „ჩემი და გიორგი მარგველაშვილის პოლემიკის

ერთ-ერთი საგანი გახლდათ მისი პოზიცია, რომ კონკურენციაში უნდა იყოს მთავრობასა და პარლამენტთან... საბოლოოდ, მე ჩემს აზრზე დავრჩი, მას კი თავისი აზრი არ შეუცვლია. მის ყველა ქმედებაში განა მარტივი დასაწახი არ არის, რომ კონკურენტს ებრძვის, კონკურენტთან აქვს საქმე და უნდა, ხელი შეუშალოს. ამით, ჯამში, ქვეყანას ეშლება ხელი და ამას უნდა მიხვდეს პრეზიდენტი მარგველაშვილი“.

ამ ფონზე ჩნდება ლოგიკური კითხვა: პრეზიდენტი ოპოზიციამა? საერთოდ, ივანიშვილისგან მარგველაშვილის დატუქსვა პირველი შემთხვევა არაა. არც ისაა დასაძალი — რომ არა ბიძინა ივანიშვილი, გიორგი მარგველაშვილი დღეს პრეზიდენტი კი არა, ან ისევე ნინო ბურჯანაძესა და სახალხო კრებასთან ასოცირებული პერსონა იქნებოდა, ან უბრალოდ, ფილოსოფოსი, რომელიც მედიისთვის ხანდახან ექსპერტულ შეფასებებს გააკეთებდა. ერთი სიტყვით, ყოფილი პრემიერი მიიჩნევს, რომ მარგველაშვილი მთავრობას ხელს უშლის. ამასთან, არსებობს შეხედულება, რომ მთავრობისა და პარლამენტის ეფექტურად მუშაობას ხელს ნაციონალური უშლიან. მაშასადამე, გამოდის, პრეზიდენტი მარგველაშვილიც ოპოზიციამა ანუ ქვეყანაში კვლავ ორხელისუფლებიანობაა, როგორც ეს მიხილ სააკაშვილის პრეზიდენტობისა და ბიძინა ივანიშვილის პრემიერობის დროს იყო. მაშინ ყველაზე აქტუალური პოლიტიკური თემა პრეზიდენტ სააკაშვილის,

როგორც ოპოზიციონერი მმართველის იმპიჩმენტი იყო. პარლამენტის შემადგენლობა ახლაც და მაშინაც იგივეა ანუ, თუ პოლიტიკური კინკლაობა გაგრძელდა, არაა გამორიცხული, დღის წესრიგში „ოპოზიციონერი“ პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხი დადგეს. რა მეჩანიზმი აქვს ამისთვის „ოცნების“ უმრავლესობას და რა წერია კონსტიტუციაში პრეზიდენტის იმპიჩმენტზე?

პასუხში მინაბდე, კონსტიტუციონალისტი: „საქართველოს კონსტიტუციით, პრეზიდენტის გადაყენება მხოლოდ იმპიჩმენტის წესითაა შესაძლებელი, რაც მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადებისა და მისი გადაყენებისგან განსხვავებით, პოლიტიკური პროცედურა არაა. იმპიჩმენტი აპოლიტიკური პროცედურაა და ამისთვის საჭიროა არა პოლიტიკური, არამედ, სამართლებრივი არგუმენტი. ასეთი კი შეიძლება იყოს ორი — ან კონსტიტუციის დარღვევა, ან სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა. იმპიჩმენტის პროცედურის აღძვრის უფლება აქვს საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის მიწინააღმდეგე, რის შემდეგაც, საქმე დასკვნისთვის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაეცემა. იმპიჩმენტის პროცედურა მაშინ წყდება, როცა საკონსტიტუციო სასამართლო ამბობს, რომ ზემოხსენებული ორი პუნქტიდან დარღვეული ერთიც არაა. თუ სასამართლო, თავისი დასკვნით დაადასტურებს, რომ პრეზიდენტის ქმედებაში სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები არსებობს, ან იტყვის, რომ მან კონსტიტუცია დაარღვია, მაშინ პროცედურა გრძელდება — განცხადება ბრუნდება პარლამენტში და განხილვის შემდეგ კენჭი ეყრება პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენებას. თუ ამას დეპუტატების სრული შემადგენლობის ორი მესამედი მხარს დაუჭერს, პრეზიდენტი გადაყენებულად ჩაითვლება, მაგრამ, თუ მხარს არ დაუჭერს, საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნის მიუხედავად, არაფერი შეიცვლება“.

მოქმედი კანონმდებლობით, პრეზიდენტს „აჯანყებულ“ უმრავლესობაზე, ან მთავრობაზე რევეანის საშუალება აქვს თუ არა? — კონსტიტუციით, პრეზიდენტი მთავრობას ვერ შეეხება, სამაგიეროდ, პარლამენტის დათხოვნა სამ სხვადასხვა შემთხვევაში შეუძლია: პირველი — თუ პარლამენტი ვერ ამტკიცებს მთავრობას და ეს ვითარება ცოტა ხნის წინ გავიარეთ, თუმცა აქ პრეზიდენტის როლი შედარებით ფორმალურია; მეორე — როცა პარლამენტი იწყებს მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადებას და პროცედურას წარუმატებლად ასრულებს; მესამე შემთხვევა კი გაცილებით საინტერესოა — თუ პარლამენტი ბიუჯეტს ვერ დაამტკიცებს, მაშინ ის პრეზიდენტმა უნდა დაითხოვოს, თუმცა აქ საუბარი სურვილსა და არჩევანზე არ არის: მარგველაშვილი ვალდებულია, ასე მოიქცეს. სხვათა შორის, 2-3 თვეში საქართველოს პარლამენტმა ბიუჯეტი უნდა დაამტკიცოს. ასე რომ, წლის ბოლოს შესაძლოა, საინტერესო პოლიტიკური პროცესების მომსწრენი გავხდეთ...

ნოვაცია

„ვისოლი“ მუდმივ მომხმარებელს, ერთგულებისთვის, მადლობის ნიშნად, უნიკალურ აქციას სთავაზობს — 15 სექტემბრიდან 15 ოქტომბრის ჩათვლით, „ვისოლი“ 30 ლარის და მეტი ღირებულების საწვავის, მათ შორის ყველა დროის ყველაზე მაღალი ხარისხის „ეკოს“ პროდუქტების შეძენის შემთხვევაში, მიიღებთ ვაუჩერს, რომლითაც, სუპერმარკეტების ქსელ „სმარტის“ 20 000-ზე მეტი დასახელების პროდუქტზე, 10%-იანი ფასდაკლებით ისარგებლებთ. ამავდროულად, შეძლებთ, Unicard-ით ბონუს ქულები დააგროვოთ როგორც „ვისოლი“, ისე „სმარტში“.

ამ სასიამოვნო სიახლის შესახებ, „ვისოლის“, „სმარტისა“ და Unicard-ის წარმომადგენლებმა ჟურნალისტებს, აღმაშენებლის ხეივანის მე-13 კილომეტრზე, „სმარტში“ გამართულ საგანგებო ბრიფინგზე აუწყეს. „ვისოლ ჯგუფის“ პრეზიდენტის, სოსო ფხაკაძის განმარტებით, ეს სერიოზული შემოთავაზებაა: „ვისოლ ჯგუფის ორი მსხვილი კომპანია „სმარტი“ და „ვისოლი“ იწყებენ რიგით პირველ ერთობლივ აქციას. 10%-იანი ფასდაკლება სუპერმარკეტებში ძალიან სერიოზული შემოთავაზებაა, განსაკუთრებით ისეთი ქსელისგან, რომელიც პირდაპირ ხარისხთან ასოცირდება. ცხადია, „სმარტს“ ვგულსხმობ. ამ ქმედებით, „ვისოლ ჯგუფს“ სურს, მადლობა გადაუხადოს მომხმარებელს ერთგულებისთვის და შესთავაზოს ისეთი წამახალისებელი აქციები, რომელიც წევრ კომპანიებში უმაღლესი ხარისხის პროდუქტებისა და მომსახურების მიღების გარდა, მათ, როგორც ემოციურ, ისე მატერიალურ სარგებელს მოუტანს. აქციის ფარგლებში ერთგული მომხმარებელი „სმარტში“ საყოფაცხოვრებო ხარჯების მნიშვნელოვან ეკონომიას გააკეთებს, თან იმგზავრებს „ვისოლის“ ყველა დროის ყველაზე მაღალი ხარისხის საწვავით და Unicard-ის ქულებსაც დააგროვებს საჩუქრების მისაღებად. დარწმუნებული ვართ, ამ აქციას მომხმარებლის მხრიდან პოზიტიური რეაქცია ექნება. ვდებთ, პირობას, რომ ასეთი შემოთავაზებებით მომხმარებელს მომავალშიც გავანებივრებთ. საწყის ეტაპზე კი, ერთი თვით შემოვიფარგლებთ. აქცია 15 ოქტომბერს დამთავრდება“.

იმაში, რომ მომხმარებელი ახალი შემოთავაზებით კმაყოფილი დარჩება, დარწმუნებულია Unicard-ის პიარ-მენეჯერი ანა კომპანიძე. მისი თქმით: Unicard აქციაში სიამოვნებით ჩაერთო — მომხმარებელს შეუძლია გაატაროს ბარათი და დააგროვოს ქულები. ეს საკმაოდ კარგი და მასშტაბური აქციაა. დიდი იმედი გვაქვს, ჩვენი — Unicard-ის, „სმარტი-

„ვისოლისა“ და „სმარტის“ ერთობლივი ბრანდიოვანი აქცია დაიწყო!



ჩაასხით 30 ან მეტი ღირის საწვავი ვისოლში, ისარგებდით 10%-იანი ფასდაკლების ვაუჩერით „სმარტის“ 20 000-ზე მეტი დასახელების პროდუქტზე და დააგროვებთ ქულები Unicard-ზე!

სა და „ვისოლის“ საერთო მომხმარებლები კმაყოფილები დარჩებიან“. უნიკალური აქცია, საქართველოს მასშტაბით, „ვისოლისა“ და „სმარტის“ სრულ ქსელს მოიცავს. ფასდაკლების თითო ვაუჩერს მომხმარებელი „ვისოლში“ 30 ან მეტი ლარის ღირ-

ებულების საწვავის ყოველ შესყიდვაზე მიიღებს. აქცია 15 ოქტომბერს დასრულდება, მაგრამ ფასდაკლების ვაუჩერის განაღდება, „სმარტის“ ნებისმიერ სუპერმარკეტში, 30 ოქტომბრის ჩათვლით შეგიძლიათ.

ნინო ლურსმანაშვილი

„შენი მეგობარი გაკრიჭეს. აბა, ახლა ახსენი, ვინ არის მეგობრიბა და მასქერალი, ბიჭო!“



პატიმარი №0578

„საოცარი სიჩუმეა, დამთრგუნველი სიჩუმე... ასეთი სიჩუმე ციხეში არ უნდა იყოს. აქ რაღაც ცუდი ხდება, ძალიან ცუდი“, — ეს სიტყვები მონიტორინგის ევროპული ჯგუფის ერთ-ერთმა წევრმა წარმოთქვა მაშინ, როცა ხათუნა კალმახელიძემ გლდანის ციხის სანახავად მიიყვანა. იმჟამინდელმა მინისტრმა კი დაამშვიდა, რომ ქართველი პატიმრები მსოფლიოში ყველაზე დამჯერნი და მონესრიგებულნი იყვნენ, ევროპულ სტუმრებს პატივის სცემდნენ და ამიტომ იყვნენ ჩუმად...

გლდანის ციხეში, ადმინისტრაციულ კორპუსში მოსაცდელი ოთახები იყო. მსჯავრდებულები კედლისკენ სახით იყვნენ მიტრიალებულნი, თავდახრილები უნდა მდგარიყვნენ, ხმის ამოდება ეკრძალებოდათ და მშვიდად ელოდნენ, როდის გამოუძახებდნენ ადვოკატის ან მოძღვრის სანახავად. თავდახრილი, ზურგზე ხელუბნადყოფილი კაცების მზერა ძალიან მძიმე იყო. რთული იყო პატიმრებისთვის, ოფიცრები კი ამ ვითარებაზე კაიფობდნენ...

„ბიჭო, შენ ხელეები რატომ არ გინყვია ზურგზე, კარცერი მოგენატრა“? — ერთ დღეს, მოსაცდელი ოთახში სისასტიკით ცნობილი ოფიცრის, რუსლანას ღრიალი გაისმა. ყველამ იმ პატიმრისკენ გაიხედა, რომელსაც, სავარაუდოდ, კარგი დღე არ დაადგებოდა.

„მომისმინეთ, ბატონო რუსლან. მთელი თქვენი ხელისუფლება კრიმინალს და ე.წ. ქურდულ გაგებას ებრძვის და იცით, რომ ეს ზურგზე ხელეების დაწყობა ქურდულია?!“ — მშვიდად ჰკითხა პატიმარმა.

როგორ გადაარჩინა პატიმარი №0578 თენგო გურჩიანმა

„რაა?!“ — ისევ იღრიალა რუსლანმა და პატიმრისკენ ხელჯვრით დაიძრა, თუმცა მოულოდნელად, მას წინ სპორტულბურთში გამოწყობილი კაცი აესვებოდა წინ და კბილებში გამოსცრა — ხელი არ ახლო.

„კარგი, რა, თენგო, ხომ ხედავ, რეჟიმს არღვევს, მიმიშვი“, — უთხრა რუსლანმა, მაგრამ აშკარად შეეტყო, რომ ხმაში ბზარი შეეპარა.

„არა-მეთქი, არა“, — ჯიუტად თქვა თენგომ და მერე პატიმარს მიუბრუნდა, — ვინ ხარ?!

„პატიმარი №0578“, — მშვიდად უთხრა პატიმარმა.

„ბლატნიო ხარ?“, — გაელიმა თენგოს.

„არა, ჩვეულებრივი, პატიოსანი კაცი ვარ, არც კაბიჭობის პრეტენზია მაქვს, მაგრამ თქვენს ქვეყნში რაც ვუთხარი, მართალია — ზურგზე ხელეების დაწყობა ქურდულია და

შემიძლია დეტალებში ავხსნა“, — გაელიმა პატიმარს.

„ჯერ ერთი, ეს ჩემი ქვეყნში არ არის. მეორეც, არ მჭირდება ახსნა, მეც პატიმარი ვარ“, — გაილიმა თენგომ და მოსაცდელი ოთახიდან გავიდა.

№0578 ოფიცრების გაცემული უყურებდა. მათაც გაელიმათ — ჰო, რა გიკვირს, პატიმარია, თენგო გურჩიანი... * * *

რუსთავის №17 ზონაში გადასვლის შემდეგ, პატიმარი №0578 „მაყურებლების“ საკანში ხშირად იყო, ბევრ რამეს ისმენდა, მაგრამ არასოდეს არაფერში ერეოდა. არცთუ იშვიათად, მაყურებლებს ირონიით შეხედავდა და ღიმილით ეუბნებოდა — „სახელი მაინც შეიცვალეთ, ან მაცქერალი დაირქვით, ან მეჭოგრით... მაყურებელი მოძველდა, ხალხო“...

პატიმარზე ნერვები ბევრს ეშლებოდათ, მაგრამ ვერაფერს უბედავდნენ. ზონის ერთ-ერთი მაყურებელი მისი ბავშვობის მეგობარი იყო და მხოლოდ ის ეუბნებოდა ხოლმე, შეგვევი, რა გაგვიხურე საქმეო...

ერთ დღეს №0578 პატიმარს მაყურებლების საკანში უხმეს. მანამდე ზონა ორი დღით იყო დაკეტილი. ამბობდნენ, კრიტიკის რამდენიმე პატიმარი წაიყვანეს... მაყურებლების კამერაში ათამდე „ბლატნიო“ იჯდა და პატიმრის შესვლისთანავე ყველა გაჩუმდა. №0578-მა მიმოიხედა, მეგობარი ველარ დაინახა და მშვიდად იკითხა — „გაკრიტეს?!“

„ჰო, გაკრიტეს და ახლა შენ ის ახსენი, ვინ არის მეჭოგრით და მაცქერალი. დროზე, ბიჭო“, — კბილებში გამოსცრა ერთ-ერთმა დამხვედურმა.

„აი, სულ ვიცოდი, რომ ეგ თქვენი ძმაცაობა გამორჩენაზე იყო დამკვიდრებული. ნაიდა და აფთრებით დამერევი. ეგ არის თქვენი კაბიჭობა და ქურდული. ახლა მართლა კაბიჭო რომ იყოს აქ, პასუხს მოგთხოვდათ, მაგრამ...“ — პატიმარმა აღარ დაამთავრა, რადგან ერთ-ერთი მაყურებელი წამოდგა და საკნის კარი მოკეტა, გარეთ კი სხვა პატიმარი დააყენა და უთხრა, არავინ შემოუშვას. ეს მინიმუმ გვარაინად ცემას ნიშნავდა, მაქსიმუმ — ცემით სიკვდილს.

„ახლა ჯერ ავიხსნი, რატომ ხარ საცემი. მერე ზურგსუკან დაიწყებ ხელეებს და დილაზე გიტყაპუნებ“, — გაილიმა მაყურებელმა, მაგრამ სანამ რამეს იტყოდა, საკნის კარი შემოაღეს — „ბიჭებო, ახალი ეტაპი მოიყვანეს და ამბობენ, თენგო გურჩიანიც მოვიდა“, — სხაპასუხით უპასუხა „ბლატატას“.

მაყურებლები წამოიშალნენ, შენ მერე მოგივლითო, პატიმარს მიუგდეს და გარეთ გავიდნენ. ზონაზე თენგო გურჩიანის დონის ავტორიტეტის მოსვლა არ იყო უბრალო ამბავი. მულტიფილმ „მაუგლიში“ ვეფხეს რომ ტურა დაჰყვებოდა, ისე შემოეხევიდნენ თენგოს და თვალეში შესციცინებდნენ. გურჩიანიც ოდნავ თავისდაკვირთ ესალმებოდა და მაყურებლების საკნისკენ მიდიოდა. მოულოდნელად, თენგო შედგა, სახე გაეკაბრა და ერთ-ერთი პატიმრისკენ ხელეგაშლილი წავიდა.

„ჩემი ძმა, ჩემი №0578... როგორ ხარ? ხომ არ გაბრაზებს ვინმე...“, — გაილიმა თენგომ და პატიმარს გადაეხევა.

„წამო თენგო, ჩაის დაგაღვივებ“, — გაუღიმა პატიმარმა და საკნისკენ გაუძღვა.

მაყურებლები აიძრივნენ, ზონაზე ავტორიტეტი მოვიდა, „ვიღაცის“ კამერაში ავიდა ჩაის დასალევედა და, რაც მთავარია, ის ვიღაც მათი მტერი იყო. ჩაის შემდეგ პატიმარმა თენგოს ყველაფერი მშვიდად უამბო. გურჩიანმაც იფეთქა — „ახლავე მთელი ბლატატა აქ მოვიდეს“, — დაავალა ერთ-ერთ პატიმარს. ხუთ წუთში საკანი გაივსო.

„ახლა ყველამ მომისმინეთ. გლდანის ციხეში ბევრი თქვენგანი ოფიცრების ერთ დამახებაზე ლოგინის ქვეშ რომ ძვრებოდა, ჩურჩულისაც კი ეშინოდა, ეს სისხლს უშრობდა იმათ. ორი კაცი ვიყავით იქ, რომელიც ურჩობდა და ყველაფერი ეკიდა. ჰოდა, ახლა ამის დაჩაგვრა ქურდულის სახელით მოინდომეთ?! ხმამალალ სიტყვას ვინც ეტყვის, ვინც აწყენინებს, მე მანყენინებს. ჩემი წყენინება კი, ნებისმიერს ძვირად დაუჯდება. მე მოვრჩი, დაიშალეთ“, — გამოაცხადა თენგომ და ჩაის სმა განაგრძო. * * *

როცა გურჩიანი ციხიდან გავიდა, №0578-მა ღიმილით უთხრა, ისევ დააპირებენ ჩემს შექმას, მაგრამ გადავრჩები. თენგომ დააიმედა, ვერაფერს გაგიბედავენო, თუმცა მეორე დღეს პატიმარი ისევ მაყურებლების საკანში იხმეს და ძველი ამბავი გაუხსენეს. საუბარი რუპორის გამყინავმა ხმამ შეანწყვტინა — „პატიმარი №0578 გამოცხადდეს გასათავისუფლებლად“, — გაისმა. ზუსტად ათ წუთში პატიმარი უკვე სახლის გზას ადგა...

პრობლემა

სტუდენტები მთარგმნელობითი საქმიანობისთვის თანხების გამოყოფას მოითხოვენ

როგორ დავძლიოთ ქართულენოვანი სამეცნიერო ლიტერატურის დეფიციტი

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

განათლება ქვეყნის განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესია. პოზიტიური ძვრების მიუხედავად, არაერთი პრობლემა გადაუჭრელი რჩება. განათლების სფეროში არსებული გამოწვევები ყველას ეხება, განურჩევლად სოციალური თუ ფინანსური მდგომარეობისა და პოლიტიკური შეხედულებისა. განათლების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული დაბრკოლებების, უმაღლეს სასწავლებლებში მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურის, უხარისხო ინვენტარის, გაუმართავი ელექტრონული ბაზებისა თუ ნახევრადცარიელი ბიბლიოთეკების პარალელურად, სერიოზული პრობლემაა ქართულად ნათარგმნი სასწავლო ლიტერატურის დეფიციტიც.



წავლებელს, ლიტერატურის თარგმნისთვის საჭირო თანხა, უბრალოდ არ მოეპოვება. არსებობს მეორე ფაქტორიც — სტუდენტები, საჭირო და ხარისხიანი სასწავლო მასალით უზრუნველყოფას პროფესორის მოვალეობად მიიჩნევენ. სილაბუსმა კი, სადაც არაქართულენოვანი ლიტერატურა მითითებული, ე.წ. ექსპერტიზა ვერ უნდა გაიაროს — სტანდარტებთან შეუსაბამოდ უნდა ჩაითვალოს და არ დამტკიცდეს. სასურველი შედეგის მისაღწევად, სტუდენტების მხრიდან ხსენებული პროცესის მუდმივი კონტროლია საჭირო. ქართულენოვანი სასწავლო სამეცნიერო ლიტერატურის სიმცირე, გადაუჭრელი პრობლემა სულაც არ გახლავთ. საუნივერსიტეტო ბიუჯეტში, მთარგმნელობითი საქმიანობისთვის ცალკე უნქტად გამოყოფილი ხარჯები, ხელს შეუწყობს ბაკალავრიატის საფეხურზე ძირითადი სასწავლო ლიტერატურის თარგმნას და იმასაც, რომ შეიქმნას მთარგმნელობითი ბიურო, რომელიც თარგმნის პროცესს დაიწყებს და „რიდერებს“ (readers) დაამზადებს. შემდეგ, საკურსო საკითხავ მასალად შეკრულ სხვადასხვა წყაროს, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში განათავსებს და ყველა სტუდენტისთვის ხელმისაწვდომს გახდის. გამოსავალი, შესაძლოა, სხვადასხვა გამომცემლობის მიერ სასწავლო ლიტერატურის პერიოდულ თარგმნაშიც იყოს; პრობლემის მოგვარების ყველაზე მარტივ ხერხად, შეიძლება, უცხო ენის სწავლების ხარისხის კონტროლიც ჩაითვალოს, მაგრამ წამდელიად არ იქნება სწორი, სტუდენტის უფლება, მიიღოს ხარისხიანი განათლება, უცხო ენების მაღალ დონეზე არფლობის გამო შეიზღუდოს. არსებობს სტუდენტთა კატეგორია, ვისთვისაც უცხო ენა ბარიერს არ წარმოადგენს, მაგრამ მათი რაოდენობა ძალიან მცირეა“.

მშობლიურ ენაზე თარგმნილი თუ დაწერილი სამეცნიერო სასწავლო ლიტერატურა, პარალელურად, უცხო ენების სწავლების გაზრდილი დონე, უმაღლესი განათლების ხარისხის საგრძნობლად აამაღლებს. მიღწეული იქნება განათლების მთავარი მიზანი — მაქსიმალურად შეუწყოს ხელი ჯანსაღი ფასეულობების, შრომისუნარიანი და განათლებული პიროვნების ჩამოყალიბებას.

ნათია ნოდია

ირანში მხოლოდ ფერეიდნის ნახვით არ შემოვიფარგლეთ და ისეთი ადგილებიც მოვიხსნით, ირანში დაბადებული და...

როცა ბათუმში ჩამოვცალეთ საბარგული და სანაპიროზე ვსადილობდით, ჩაისაც ვაყოლებდით, იქაურები გაკვირვებულნი...

პიკნიკი ძალე დასრულდა, სურათები გადავიღეთ და გზა განვაგრძეთ. კლდეში გამოჭრილი პატარა სახლები შევნიშნე, აქ ერთ დროს სანარმოები ყოფილა, რამდენიმე კაცი დილიდან...

მართლა, მოკლე კაბები აცვიათ. ირანში ნანახი ჩაცმულობის ფონზე, მუხლამდე სამოსი მინია-მეთქი, ვფიქრობ.



ისპაჰანელი ქართველების ნოსტალგია და მუზეუმადქცეული ეკლესია



ებული, — ვუზიარებ ლევანს. რას ამბობ? ამით ხომ არაბებმა გადაუარეს, დამწერლობა, ცხოვრების წილი, სარწმუნოება...

ფერეიდნელი ქართველი, რომელიც დათვლილი ქალბატონი სახელად მართა, მთხოვს, როცა თბილისში ჩახვალ, ეკლესიაში ჩემი მოხსენიება არ დაგავინდევს, ილოცე, რომ მე და ჩემს შვილებს...



თავსაფარი, თორემ თმა უჩანთ. თანამედროვეობა იქ უფრო იგრძნობოდა-მეთქი, ვამბობ. ჰო, მაგრამ... გარედან ჩანს ასე, თორემ მაინც ირანელებიაო, — მისხნის მართა.

შემდეგი მოგზაურობა ისპაჰანს გადავწყვიტეთ. ისევ ნინოს ოჯახი გემასპინძლებს. მარტყოფიდან დილით გავდივართ. სასაიამოვნო ამინდია. აპრილის შუა რიცხვებში ირანში უკვე საკმაოდ ცხელია. ამჯერად გავგიმართლა და გრილა. ისპაჰანში სიმინეანი შემოგვაგება. სამოთხეში გეგონება თავი. ბაღში შევდივართ თითქოს, სინამდვილეში კი ერთ-ერთ ცენტრალურ გამზირზე ვართ. ამ ადგილს „ოთხი ბაღი“ ჰქვია — ოთხივე მხრივ მართლა ცხელი გვაკრავს. სხვა ქუჩებიც სიმინეანითა და სიმშვიდით გამოირჩევა. მანქანას პარკირების ადგილზე ვტოვებთ და გამზირს მივყავებით. აქ ახალი შენობა უნდა აეგოთ. დაიწყეს, მაგრამ შეაჩერეს — მეჩეთზე მალალი არ უნდა იყოსო. „რომოცი სვეტის“ დარბაზში ანუ მეორენაირად რომ ვთქვათ, შაჰ აბასის სასახლეში შევდივართ. გიდი სპარსულად ყვება, ლევანი მითარგმნის. აი, ნადიმის სურათი. ეს ალავერდი — ხან უნდოდათ. დიდი მუცლით რატომ დაუხატავთ-თქო, ვიკითხე. მაშინ ვაჟკაც მეომრებს ასე ხატავდნენო, — მპასუხობს ექსკურსიამძღოლი. სხვათა შორის, თქვენი მეფე შაჰ აბასს ყოველწლიურად, პატივისცემის ნიშნად, 500 მშვენიერ ხანუშს უგზავნიდაო, — მეუბნება. არაფერიც, ეს შაჰ აბასის ბრძანება იყო და ხარკს ვიხდიდით-მეთქი, ვვინააღმდეგები. ისიც მეკამათება და ცდილობს, დამაჯეროს: ჩვენი შაჰი გულმომწყალი იყო, სხვა სურათებზე ჩანს, ძღვენი თმადიან დამატარებულ ქვეყნის დიდებულები და ის ტერიტორიებს უბრუნებს, სა-

ჩუქრებსაც კი ატანსო. ვბრაზდები, მაგრამ... ამასთან ჩხუბი არ ღირს, გაყალბებული ისტორია დაუზოთხვინებიათ და ნუ მათარგმნიან ამ სისულელეებსო, — მთხოვს ლევანი. მაინც ვეკითხები, უნდოდათ რომ ხალატი აცვია, შაჰის ნაჩუქარი ხომ არ არის, ერთგულების ნიშნად-თქო? გიდი იცინის და ცდილობს, იუმორში ამყვეს — არა, ამ სურათზე თავისი ხალატი აცვიაო.

სასახლის უზარმაზარ ბაღსაც ვათვალიერებთ, მერე კი ისპაჰანის ბაზარში გავდივართ.

ისპაჰანის ბაზარში მიღეთის ხალხი ირევა. ჩემს წარმოდგენაში აზიური ნივთები სიჭრელესთან ასოცირდება, ოღონდ, თურმე, სინატიფე და დახვენილობაც ჰქონია გამოსარჩევი. საუცხოო, რომ იტყვიან, სწორედ ეს არის. იმ სიჭრელეშიც ჩანს ფერთა საოცარი შეხამება, ჰარმონია, სინატიფე... ნლების განმავლობაში შემონახული და დახვენილი... ჯერ კიდევ იმ დროიდან ჩამოყალიბებული, როცა სპარსეთი იმპერია იყო და შიშის ზარს სცემდა მსოფლიო ქვეყნებს.

ცნობილი ლექსიკონის, თანამედროვე გამოცემა, ქართულ-სპარსული სასაუბროს ავტორის, ნუგზარ ლაჩინაძის (ლაჩინაშვილის) ვაჟი, ვასო, ჩემი მეუღლის მეგობარია. ლაჩინაშვილი „დაგვიყონადა“, ანუ საპატიო სტუმრად გვიხმო. უნდოდადის ხიდიდან შევხვდით. ეს ხიდი ცალკე აღნიშვნის ღირსია სილა-მაზითა და ზომით. ცენტრალური ადგილია ირანის შუაგულ და მეტად განთქმულ რეგიონ ისპაჰანში. ხიდის მოაჯირებიდან წყალში ქართული ანბანის ხმოვნები ირეკლებაო... ისეთი ლამაზი რკალები აქვს, შესაძლოა ასეც იყოს, თუმცა ლევანი ირწმუნება და ფაქტიცაა — მაშინ თანამედროვე ანბანი ჯერ არ იყო. ვასოსთან ერთად ისპაჰანის ქუჩებში გასეირნება ვარჩიეთ, სალამო კი მისი ოჯახის წევრები გველოდებიან.

უძველესი უბან ჯულფას მივადექით. ადრე ჯულფა ქართველებით ყოფილა დასახლებული, ახლა სომხების უბანია. აირიენენ სომხებშიო, — ყვება ვასო. მაშინ რჯულის გადარჩენის საკითხი დაუდგათ ქართველებს და გამუსულმანებას ბევრმა მათგანმა გასომხება არჩია. ასე, ნელ-ნელა გაითქვიფნენ, თურმე სომხებში. კი მაგრამ, სომხებს რატომ არ ღვენიდნენ რჯულისთვის-მეთქი? იმიტომ, რომ ვაჭრობაში სჭირდებოდათ. ქართველები ძირითადად მეომრები იყვნენ და ამიტომ მშვიდობის ჟამს, სპარსები ადვილად იმეტებდნენ, ხოლო სომხებს ვაჭრობის განვითარებისთვის ინახავდნენო, — მისხნის. შუაგულ მოედანზე ეკლესია ჩანს. გაკვირვებას ვერ ვმაღავ. ეს მუზეუმი დიდი ხანია, აქ ეკლესიას ვინ გააჩერებო, — მეუბნებიან. ჰოდა, ახლა ამ ეკლესიასთან ერთად, სამუზეუმედ შემორჩენილ უძველეს ექსპონატებს ვათვალიერებ. ქართული დამწერლობა სომხურისთვის მიუკუთვნებიათ. გაოგნებული ლევანსა და ვასოს ვუხმობ. ისინი კი მუზეუმში მომსახურე სომეხ ახალგაზრდა ქალბატონს, სპარსულად სთხოვენ განმარტებას. ეს, ჩვენი ძველი ანბანიაო, — ამბობს ქალბატონი. როგორაა სომხური, ვკითხულობო, — ეპასუხება ვასო. გამოდის, სომხური ცალკეა, — უკან არ იხევის ქალბატონი. „დაკითხვა“ არ სიამოვნებს და კითხვას აბრუნებს: მითხარით, როგორ მოხდა, რომ ჩვენ სარწმუნოება შევიწარმეთ და თქვენი ხალხი კი გამუსულმანდაო. ბიჭები პასუხსაც აღარ კადრულობენ, თუმცა გაბრაზებას არ მალავენ. ისე, რას ერჩი? ამით შეინახეს და მუზეუმში გამოფინეს, ჩვენი კი რა თავმინებებული ხალხი ვართ... მუზეუმადქცეულ ეკლესიას ვერსაუბრობი იერი მიუცია მოედნისთვის. აქაც ირანისთვის დამახასიათებელი სიმშვიდეა. თავისუფლება არ აქვთ და იმიტომ გეჩვენება მშვიდ ხალხად. თავისუფლება რომ მისცე, ჩვენი ღრეობა ამათთან მონაგონი იქნება, ქვეყანას დაანგრევდნენო, — ამბობს ლევანი.

იმ დღეს ბევრი ვიარეთ, სანაპიროზე ჩილიმისმწველი ახალგაზრდა წყვილებიც უხვად ვნახეთ და თეთრი ყვავებიც ვიხილეთ — ყვავზე უფრო ღია ფერის, რასაც „ეთერ ყორანს“ დაუძახიან ფერეიდნელები.

სალამოს სტუმრობაც ისეთივე შთამბეჭდავია, როგორც დღის მოგზაურობა. მასპინძელ ლაჩინაშვილებს ნოსტალგია აქვთ იმ დროზე, როცა თბილისში ცხოვრობდნენ და სამშობლოში დაბრუნებაზე ოცნებობენ. „ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს დაგვრუნდით საქართველოში. მერე კავშირი დაიშალა, მძიმე ცხოვრება მოდიოდა, მაშინ სტუმრად ჩამოვედით ირანში და დავრჩით კიდევ. ყოველთვის სიყვარულით ვიხსენებ იქაურობას“, — ამბობს ქალბატონი ლაჩინაშვილი.

ჩვენთან განშორება უჭირთ. უამრავ რამეს გვეკითხებიან, საქართველოს შესახებ ყველაფერი აინტერესებთ. დასავლეთი ცოტა, ნამგზავრები არიან, — გვიფრთხილება ვასო. არ ვიღლები, თუმცა მოგზაურობის ბოლოს ნოსტალგია შემომიტყვეს: მინდა აქაურ სიმშვიდეს, ფუფუნებას, თუნდაც სტუმართმოყვარეობას ნუთით გავერიდო და იქაურ, ანუ სამშობლოში მყოფ ქართველებს მოვავლო თვალი.

მასხენდება, ბავშვობაში ჯერ კიდევ კარგად არ ვიცოდი კითხვა, როგორ ვალებდი თვალს წიგნების თაროზე მუშაში მოთავსებულ, მამის კუთვნილ ნივთს სათაურით: „ისპაჰანი, შირაზი, ქაშანი“ ძილის წინ რამდენჯერმე ვიმეორებდი. ახლა ვხვდები, ისტორიკოს მამას ეს წიგნი პროფესიული ინტერესის გარდა, ქართული სისხლის ყივილმა დაადებინა თვალსაჩინო ადგილზე.

1. ტროას აღმომჩენი არქეოლოგი	2. ფიგურული სასაზავეი	3. ავტორი რომანისა „ლაშაში მგობარი“	4. მიცველუბლის დასტორული საგლობელი	5. სატორცნი იარაღი ფშაპზე სანადიროდ	6. მიელი ეკიპის მუშაობა გეშე	7. დეკორატიული ძალოს ფიში	8. ცხენის ფეხზე დასაკრავი რკინა
9. მილიერის „ოინაში“ პერსონაჟი	10. მილინომის ქართული შესატყვისი	11. სინგლის კომპიკისი ... ატკინსონი	12. მუსლიმანთა წმინდა ტაძარი	13. ცნობილი რომინელი გამიირი	14. მარცვლეულის შესანახი ნაველობა	15. მინაწველი რძის რაოდენობა	16. მარცვლოვანი ყავის ფიში
			18. „მპროტი“ - ქართულად	19. კელის სანაბი	21. თაფისუფალი ფორმის ნარკვევი	17. ლითონის წერილი ღერი	
	20. ცხენის გადამდები დაავადება		23. ყურძნის ღვთაება გურიიში	24. მობილ. ტელეფონის ფინური მარკა	25. ათენის სავესტურთო კლუბი		22. ფრანგი კომპოზიტორი
26. მუსლიმანთა წმინდა ქალაქი	27. მიმართვა ფრანგი მამაკაცისადმი	28. ტბა აფრიკაში		29. მაგარ-მერქიანი ხე იგივე იფანი		30. კორდს ბერებს ერთმურის მძულ დეკრა	31. იგივე რაც მწვალბლობა
		33. შამიანი კომპეში	34. დიდი თფში		35. სვადსვა ღვინის ერთმურეში შერევა	36. იაპონიის „ოლიმპიური“ ქალაქი	32. ვენესუელის ფულის ერთეული
37. მხრჩობელა გველი	38. შოტლანდიური ნავაზი	39. ლოცვის დასკვნითი სიტყვა		40. „საბრალონის“ ბერსონაჟი ... ვალკანი	41. მშობლითი სასროლი ფიში		42. 16 წლამდე ასაკის საპორტსმენი
				43. ჩიტი - ძველ ქართულში	44. „ზაგარი“ - ქართულად	45. „უინული“ - ინგლისურად	
	47. მოქალაქე - გერმანიაში	48. ბედონთა ტრადიცი. მისასხაბი		49. ზევის დედა	50. ირანის ფულის ერთეული	51. საფრანგეთის საკურორტო ქალაქი	52. იტალიური საწვავი
		53. სასელ-მწიფოში მესელის ნებართვა	54. შვლის ნუკი დინ. მულტ-ფიში	55. პეტრის მესელი	56. სორციანი კორკოტი	57. მსატარი - გრეკო	58. სვეს-ბერი გონას ვაჟი
							59. პირისასის ძვალი
							60. ირანის დიდი შაჰი



უსაქმურ ექიმს ვერ ათავისუფლებენ



იტალიელმა ექიმმა, 9-წლიანი მუშაობის პერიოდში, სამუშაო ადგილზე მხოლოდ 15 დღე გაატარა. როგორც ადგილობრივი პრესა წერს, მედიკოსმა შეძლო, კანონიერად გაეცდინა სამსახური: ის ან სასწავლო კურსებზე იყო, ან კუთვნილ შვებულებაში, ანდა ავადმყოფობდა და ამასთან, ხელფასსაც სრულად იღებდა. სიცილიელი ექიმი სამუშაოზე 2005 წელს მოეწყო ქალაქ კატანიას ერთ-ერთ საავადმყოფოში, იმავე დღეს კი უნივერსიტეტის კურსებზე გაეშურა. სამსახურში

დაბრუნების შემდეგ, 2008 წლის ოქტომბერში, მედიკოსმა კუთვნილი ანაზღაურებადი შვებულება მოითხოვა ოჯახური მდგომარეობის გამო, რომელიც 2009 წლის მაისამდე გაგრძელდა. საავადმყოფოში დაბრუნების შემდეგ მას მაინც მოუწია ორი კვირა მუშაობა, შემდეგ კი ივლისამდე ბიულეტენზე გავიდა. გამოჯანმრთელების შემდეგ მან უნივერსიტეტში კიდევ ერთი კურსის გავლა გადაწყვიტა, რომელიც წელს, ივნისში დაასრულა. ახლა 50 წლის მედიკოსი სადოქტორო ხარისხის მიღებას აპირებს 2016 წლისთვის. საავადმყოფოს მთავარი ექიმი აცხადებს, რომ არაერთხელ შეეცადა კოლეგის სამუშაო ადგილზე დაბრუნებას, მაგრამ ვერ შეძლო, რადგან ყველა გაცდენა კანონიერი იყო. თავის მხრივ „სწავლას მოწყურებული“ ექიმი აცხადებს, რომ უსაქმურობაში უსამართლოდ ადანაშაულებენ — როცა სწავლას დავასრულებ და დაბრუნდები, მიღებული ცოდნა საავადმყოფოსვე გამოადგებაო.

არაზენი „ოქროს“ ღვინოს ყიდიან

ღუბაიში 24-კარატიანი საკვები ოქროთი დაფარული ღვინის გაყიდვა დაიწყო. სასმელის მწარმოებელია კომპანია Lootah Premium Foods, რომელიც არაბთა გაერთიანებულ სამეფოებში დელიკატესების მიწოდებაზეა სპეციალიზებული. ღვინოში ოქრო იმის გამო დაუმატეს, რომ ბრწყინვალეობა მიეცათ, სასმელისთვის დასამზადებელი ყურძენი კი ესპანეთში, ლა-მანჩის ვენახებშია მოყვანილი. ჯერჯერობით უცნობია, რა ღირს მოოქროვილი ღვინო, თუმცა, როგორც კომპანიის გენერალური დირექტორი აცხადებს, ყველაზე ხშირად „ოქროს“ სასმელს სადღესასწაულოდ — ქორწილებისთვის, დაბადების დღეებისა და კორპორატიული წვეულებებისთვის უყვეთავენ.



მოზოდიშების სამსახური ამოქმედეს



ერზეხულად გამოიყვანონ კლიენტი ყველაზე უხერხული სიტუაციიდან. მაგალითად, თავმოზებულ საყვარელს რომ დაშორდეთ, სააგენტოს შეუძლია მასთან გააგზავნოს თანამშრომელი, რომელიც თავს თქვენს მეგობრად ან მშობლად გასაალებს; ანდა აგენტებს შეუძლიათ დარეკონ თქვენს სამსახურში ცოლის სახელით და უფროსს უთხრან, რომ ავად ხართ, თუკი იმ დღეს არ გსურთ სამსახურში წასვლა. თუმცა, იაპონიაში „მოზოდიშების სააგენტოს“ ბევრი აკრიტიკებს იმის გამო, რომ ხალხს ადამიანური გამოცდილების არსებითი ნაწილის თავის არიდების საშუალებას აძლევენ. ამის მიუხედავად, სააგენტოს კლიენტები არ აკლია — მათი 40% 20-დან 40 წლამდე ასაკის ქალია, მოზოდიშების ყველაზე პოპულარული მიზეზი კი ფულთან დაკავშირებული ან სასიყვარულო ურთიერთობებში შექმნილი სიმძნელებია. ფასებიც იმისა და მიხედვით ვარირებს, რა ხასიათის მოზოდიშებაა საჭირო. პირადად მოზოდიშებაში სააგენტო 240 დოლარს იღებს, ტელეფონით ან ელექტრონული ფოსტით ასეთი „სერვისი“ კი 96 დოლარი ღირს.

Appraisal.IIc

შპს „აპკაინსალი“ გთავაზობთ,

უპრაუი და მოქრაუი ქონების უაფასებას

ალექსანდრა უარსელაძე

მისამართი: ნუსუბიის №16ა

ტელ.: (5)99 22 98 33

ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com



ადვილი

სტანდარტი

რთული

ექსპერტი

Sudoku puzzle grid with numbers 6, 1, 5, 4, 8, 5, 9, 2, 1, 7, 1, 9, 2, 2, 8, 7, 4, 1, 9, 5, 8, 1, 4, 8, 3, 9, 6, 1

Sudoku puzzle grid with numbers 6, 9, 7, 5, 4, 5, 7, 9, 2, 3, 7, 5, 4, 2, 1, 6, 4, 8, 4, 3, 1, 3, 6, 2, 4, 9

Sudoku puzzle grid with numbers 7, 4, 5, 7, 1, 8, 6, 3, 2, 8, 7, 5, 1, 2, 9, 6, 5, 1, 2, 6, 9, 5, 7, 2, 5, 7, 2

Sudoku puzzle grid with numbers 5, 2, 7, 3, 2, 6, 4, 9, 3, 1, 2, 6, 7, 3, 7, 5, 6, 7, 2, 1, 3, 9, 7, 9, 8



აზიური მოღვაწე – სათვალე ბუზის გარეშე

ჰონგკონგსა და ზოგიერთ აზიურ ქვეყანაში ბოლო დროს საკმაოდ მოდური გახდა სათვალის ტარება, რომელსაც შუშები არ აქვს...

ნაყინი, რომელიც ფერს იცვლის

ნაყინი ფერს იცვლის იმისდა მიხედვით, როგორ დნება. ის ესპანელმა ფიზიკოსმა მანუელ ლინარესმა გამოიგონა...



ოპობას სახლი ბადაყილა

ახალგაზრდა მამაკაცს საკუთარ ბინაში ოპობას მოკვლის მცდელობა ძვირად დაუჯდა. მწერის გასანადგურებლად გამოყენებულმა „ნიოვაციურმა“ ხერხმა...



წინა ნომერში გასული სკანოვრდისა და სუდოკუს პასუხები

ადვილი

სტანდარტი

რთული

ექსპერტი

Answers for 'ადვილი' section.

Answers for 'სტანდარტი' section.

Answers for 'რთული' section.

Answers for 'ექსპერტი' section.

მე-10 გვერდი: 1. ალფა; 2. აუდიტი; 3. ელდა; 4. აბინინა; 5. ოდეკლონი; 6. ლივერი; 7. ალსუ; 8. ბაო; 9. სან; 10. ნო; 11. ირო-ნია; 12. ოთარ; 13. დევიდ ლუხოვნი; 14. იმაგო; 15. სოდაბუნი; 16. ვესტფალია; 17. მიხანანო; 18. ტორსდა; 19. კარატი; 20. ინდრა; 21. ფიბა; 22. ნუგა; 23. პროკოლი; 24. ანონი; 25. იგრიკა; 26. რა; 27. აიაზმა; 28. უტა; 29. აგონია; 30. ამანათი; 31. როტატორი; 32. კარე; 33. ონი; 34. უკრაინა; 35. ფარია; 36. ნინაგი; 37. ლია; 38. ზიზილა; 39. მეგ; 40. იაკი; 41. მიტერანი; 42. ოდა; 43. ხმა; 44. ფორა; 45. ნიპილიზმი; 46. დო; 47. კანიო; 48. ულუ; 49. ნიკარაგუა; 50. ჰოუგო; 51. კალია; 52. ნატო; 53. კილი; 54. გულუ; 55. იაკი; 56. კირი; 57. ვია; 58. აგული; 59. თურამული; 60. შუ; 61. აია; 62. გაუჩო; 63. ატიკი; 64. ტახი; 65. ფხა.

მე-12 გვერდი: 1. ჟონგლიორი; 2. ფერფლი; 3. ყიპიტაური; 4. ნიკელი; 5. ექსპორტი; 6. ფელინოლოგია; 7. ოპეი; 8. ივლისი; 9. ელიტი; 10. სალბი; 11. რანო; 12. ავი; 13. დიას; 14. ტულა; 15. კრუფი; 16. ლუი; 17. ოსტი; 18. რიფი; 19. ონდატრა; 20. საგო; 21. სია; 22. მეკონგი; 23. იორამი; 24. ამბუმური; 25. მინა; 26. კლოდ მონე; 27. ნარმა; 28. ინო; 29. უგულაგა; 30. იუსტი; 31. ტივი; 32. ოინი; 33. ფიანდაზი; 34. როდმანი; 35. დუმფარა; 36. დარი; 37. რინგი; 38. რალი; 39. მანგუა; 40. იბონი; 41. „რომენი“; 42. ლიქუ; 43. ქამი; 44. ნიზონი; 45. ანატომია; 46. კანო; 47. მაგი; 48. გორდია; 49. ორუელი; 50. „აიაქსი“; 51. ინანთი; 52. დია; 53. ინტიმა; 54. გოა; 55. სინკოპე; 56. რაი; 57. იმაგი; 58. ნიმი; 59. მანილა; 60. ვირა; 61. გენია; 62. ზვინი; 63. მირაფი; 64. ქონი; 65. ლავა; 66. ლევი; 67. ცუგა; 68. გავამარუ; 69. ლეთე; 70. ლენა; 71. ლიე; 72. კურტი; 73. სელი; 74. თრითონა; 75. ლეია; 76. იდილია; 77. ევა; 78. ჰაე; 79. პიემა.

150 crossword puzzle grid with clues in Georgian and a central image of a soccer player.

ქალაქი მხოლოდ ქალენისთვის

ბრაზილიაში მდებარეობს ქალაქი, რომელიც ახალგაზრდა ქალებითაა დასახლებული. ნოივა დო კორდეირო XIX საუკუნის ბოლოს, 1890 წელს დაარსდა იმ მანდილოსნებისგან, რომელთაც გარყვნილებაში დასდეს ბრალი და საზოგადოებამ გარიყა. მას შემდეგ ამ ქალაქში, ტრადიციულად, მხოლოდ სუსტი სქესის წარმომადგენლები ცხოვრობდნენ — დღეს იქ 20-დან 35 წლამდე 600 ქალია დასახლებული. მამრობითი სქესის წარმომადგენლებს 18 წლის შესრულების შემდეგ ქალაქიდან უშვებენ. ზოგ მცხოვრებს ქმარი ჰყავს, მაგრამ სამუშაო დღეებს ქალაქგარეთ ატარებენ, შაბათ-კვირას კი ოჯახში მიდიან. მამაკაცებს არ აქვთ უფლება, ქალაქის მმართველობაში ჩაერონ. იმის გამო, რომ ნოივა დო კორდეიროში მხოლოდ ქალები ცხოვრობენ, ახალგაზრდა გოგონებს ძალიან უჭირთ მეგობარი მამაკაცების ნახვა, ამიტომ აქაურებმა გადაწყვიტეს, ძლიერ სქესს დართონ მათთან ერთად ცხოვრების უფლება, თუკი დაემორჩილებიან და აქაური წესების მიხედვით იცხოვრებენ. გოგონები იმედოვნებენ, რომ სასურველი სასიძობი ახლა მაინც გამოჩნდებიან.

ვერსია logo and contact information: ვერსია, შიხაპრთი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7. e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge UDC(უპაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი მაია ფურცელაძე (599) 62-88-77 პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი მმართველობა: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, რუსუდან შელია, გიორგი იაშვილი, მერაბ ბერიძე. სტილიტი: ნინო ებანიძე დიზაინერი - გიორგი ლომსაძე ტელ: 2942399



დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დავაკავშირდით 14 დღის განმავლობაში.